ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ოქმი:ო135. 13524248001

თარიღი:04/09/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-8

დ. მესტია 30.08. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ლ. პაკელიანი, ი. გირგვლიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, შ. ცინდელიანი, მ.გელოვანი. რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> მ. ჯაფარიძე, შ. გულედანი,

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი, ზ. ჯაფარიძე, ვ, ფილფანი. მ.რატიანი,ი. რატიანი, ლ. ქალდანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ს. კვიციანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი ს. ჩხვიმიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლ. ჯაფარიძე.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ჩართოლანი.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 21 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“

--
/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი რ. გვარმიანი./

2. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ“

/მომხსენებელი:ს. კვიციანი. თანამომხსენებელი რ. გვარმიაი./

3. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N-34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

/მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი მ. ხორგუანი./

4. მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობი 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახბ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის Nგ-135.135233631 განკარგულებაში ცვლილებების შეტანი შესახებ.

/მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი მ. ხორგუანი./

5. მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახბ.

/მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი მ. ხორგუანნი./

6. ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კომპანიის (აგიტაციის) ჩატარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. ჯაფარიძე. თანამომხსენებელი შ. ცინდელიანი./

7. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის შსახებ სახელმწიფო აუდიტის დასკვნის ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი. თანამომხსენებელი რ. გვარმიანი./
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------21
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135242086 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა . „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“

მომხსენებელმა მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა დაიწყო შემოსულობებით, ქონების გადასახადებით და 2023 წლიდან გადმოსული ნაშთებით.

შემოსულობების გეგმა შეადგენს 18 280.8 ათას ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით 14 593.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 80 %-ით.

გადასახდელები -გეგმა 19 851.6 ათასი ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით - 15 009.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 76 %-ით.

2023 წლიდან გადმოსული ნაშთის I I-კვარტლის გეგმა- 1 570.8 ათასი ლარი.

განვიხილოთ შემოსულობები მუხლობრივად:

გადასახადები მუხლი(კლას.კოდი 11) გეგმა- 9 734 ათასი ლარი. ფაქტი ხაზინის მონაცემებით 2 651.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 27 %-ით, მათ შორის:

გადასახადები ქონებაზე (კოდი 1.1.3) გეგმა 4 651.9 ათასი ლარი, შესრულება - -2331.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 0%-ით. **(აუდიტის შეფასებით ქონების გაუფასურების გამო სს „ნენსკრა ჰოდრო“-მ დაამინუსა წინა წლებში გადახდილი 5 947 968 ლარი).**

გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე-დღგ (კოდი 1.1.4) გეგმა - 5 082.1 ათასი ლარი, ფაქტი - 4 982.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 98 %-ით.

მომხსენებელმა ისაუბრა საბიუჯეტო ორგანოების გეგმა-შესრულებაზე. **გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებზე.** 2024 წლის ბიუჯეტის II -კვარტლის გეგმის მთლიანი სალდოს მაჩვენებელია -1 418 ათასი ლარი, ფაქტიური მაჩვენებელი - 266.5 ათასი ლარი. აგრეთვე II კვარტლიდან III კვარტალში გარდამავალ ნაშთზე, რომელიც შეადგენს 1 154.89 ათას ლარს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: გ. დადვანმა-იკითხა ქონების გადასახადზე, წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოების გეგმის შეუსრულებლობაზე.

ს. კვიციანი--შესრულება ხდება საფინანსო სამსახურში შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე.

რ. გვარმიანი--კომისიამ იმსჯელა და განიხილა საკითხი.

შ. ცინდელიანი-- იკითხა ნენსკრა ჰესთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ს. კვიციანი--საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყო და გამოყო ექვსი მილიონი ლარი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი პარამეტრებიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება . „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“
განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №:გ-135. 135242432 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო კოდექსის თანახმად თვითმართველ მუნიციპალიტეტებს აქვთ საშუალება სარეზერვო ფონდში განათავსონ ბიუჯეტის მაქსიმუმ 2 %. მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდში განთავსებული გვქონდა 380,0 ათასი ლარი,რაც ბიუჯეტი (21 563,4 ათასი ლარი) 1,8 % შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა ძირითადად ხმარდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. 2023 წლის 8 სექტემბერს ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან - შპს“ლიდერი +“ 400,0 ათას ლარზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის I I –კვარტლის მდგომარეობით კომპანიამ რამოდენიმე სპეც ტექნიკის (ბულდოზერი, გრეიდერი) გამოყენებით 6995 საათი იმუშავა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, კომპანიას შესრულებულ საქმიანობას უდასტურებს თითოეული სოფლის წარმომადგენელი ხელმოწერით და ინსპექტირების ჯგუფი. რომლის საფუძველზეც ფორმდება შესრულებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა-- კომისიამ განიხილა საკითხი, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა და შესაბამის ორგანიზაციულ კოდზე ასახვა ხდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. სარეზერვო ფონდის ათვისება ხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების - უზრუნველსაყოფად.

გ. დადვანი--შიდა გზების თოვლის საფარიდან გასუფთავება ვისი პრეროგატივაა?

ს. კვიციანი--მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპი კეთილმოწყობის სამსახურის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ---- გ. დადვანმა

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ“

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №გ-გ-135. 135242433 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N-34

დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ცვლილებები, სოციალური დახმარების გაცემის წესში. მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა ახალი პროგრამა, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სიძველისა და სტიქიის (მათ შორის ხანძრის) შედეგად დაზიანებული და ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის გაცემის წესი“, შეიქმნა ახალი საბჭო, შემუშავდა შენობის შეფასების კატეგორიები, რომელიც მერიის ბრძანებით დამტკიცდა, კატეგორიას ანიჭებს ზედამხედველობის სამსახური. შემუშავდა ხელშეკრულება, რომელიც დაიდება ბენეფიციარსა და ზედამხედველობის სამსახურს შორის. პროგრამა საპილოტეა, მუშაობის პროცესში დაიხვეწება. სთხოვა საკრებულოს დეპუტატებს აქტიურად ჩაერთონ მუშაობის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გარმიანი- ეს პროგრამა შეეხება სვანეთის დიდ პროცენტს, არის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები?

ს. ჩხვიმიანი--მაქსიმალური თანხა შეადგენს-2000 (ორიათას) ლარს, მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება შესაძლებლობების მიხედვით, თანხა გაიცემა რეაბილიტაციის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N-34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №-11 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობი 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახბ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის Nგ-135.135233631 განკარგულებაში ცვლილებების შეტანი შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობი 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახბ“

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №-135.135233631 განკარგულებაში ცვლილებების შეტანი შესახებ.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №:გ-გ-135. 135242434 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/ და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №-:გ-135. 135242084 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. ჯაფარიძემ ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კომპანიის (აგიტაციის) ჩატარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის მომართვა, ითხოვს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კომპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, საარჩევნო ღონისძიებების (საარჩევნო უბნებისთვის), არჩევნების მომზადებისა და სრულფასოვნად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო პერიოდის ვადით, შენობა-ნეგებობების უსასყიდლოდ გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კომპანიის (აგიტაციის) ჩატარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №-:გ-135. 135242085 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა რ. გვარმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის შსახებ სახელმწიფო აუდიტის დასკვნის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნა ეხება გასული წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" შესრულებულ სამუშაოებს, მუნიციპალიტეტმა მუშაობის პროცესში დროულად გაითვალისწინა და გამოასწორა დაშვებული ხარვეზები, რომელიც დაშვებული იქნა დოკუმენტების შექმნის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის შსახებ სახელმწიფო აუდიტის დასკვნის ცნობად მიღების შესახებ.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №-:გ-135. 135242085 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი